ხელშეკრულება 205
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2018 წლის 22 ნოემბერი ქ. თბილისი

ერთის მხრივ, შპს „ აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ წარმოდგენილი დირექტორის **სპარტაკ ბუკიას** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”) საიდენტიფიკაციო კოდი: 243123455 და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი, წარმოდგენილი აპოლონ ბოხუას სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”) პ/ნ 01411111151, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლი 1-ლი პუნქტის „ს¹” ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება #13 -ს მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საბიუჯეტო (პროგრამული) დაფინასების ფარგლებში შემსყიდველის მიერ დაგეგმილი (სურამის კლინიკის) კუთვნილი შენობის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების შემოწმების/მონიტორინგის მიზნით, საესპერტო მომსახურების (CPV71319000,) შესყიდვა.

1.2. შესყიდვის ობიექტია შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსქიქოლური ჯანმრთელობის ცენტრში“ მიმდინარე სურამის კლინიკის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მონიტორინგის გაწევა, ასევე შემსყიდველის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების მიმდინარეობის დროს სხვადასხვა სახის საკონსულტაციო და საინჟინრო მომსახურებების გაწევა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1500,00 (ერთიათასხუთასი) ლარს საშემოსავლო გადასახადების ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მომსახურების გაწევისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის შემსყიდველის ტერიტორიაზე მისვლის, საჭიროების შემთხვევაში სატელეფონო კავშირის და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება ერთიანად ან ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამის თანხაზე, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე, გაფორმებიდან 25(ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი; გადახდის ფორმა – უნაღდო; ანგარიშსწორება მოხდება ერთიანად ან ეტაპობრივად.

3,3. მომსახურების გაწევის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი.

4.. მომსახურების გაწევის ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის მისამართი, ქ. თბილისი, ასევე დაბა სურამი, რუსიას ქუჩა 12.

4.2 მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

4.3 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორს სპარტაკ ბუკიას..

5. მხარეთა მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო მომსახურება.

5.1.2 მონიტორინგის დროს შემოწმებული უნდა იქნას სარემონტო სამუშოებთან დაკავშირებული ყველა დეტალი და სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ტექნიკური ან შინაარსობრივი ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს შემსყიდველს კვალიფიციური ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. მიმწოდებელი სრულად იღებს პასუხისმგებლობას მის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის/კონსულტაციების ხარისხზე და მის შესაბამისობაზე სამშენებლო და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ნორმებთან.

5.1.3.თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებას აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი ან იქნება არსებულ სტანდარტებთან შეუსაბამო, "მიმწოდებელი" ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გამოასწოროს ეს ნაკლი/ხარისხი და შეცვალოს თავისი ხარჯით ან აუნაზღაუროს შემსყიდველს უხარისხობით მიყენებული ზიანი და/ან ზარალი. ასევე თუკი სამუშაოთა დასრულების შემდეგ ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებით საჭირო გახდება გარკვეული საკითხების დაზუსტებება/ დაკონკრეტება, მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული ინფორმაცია წერილობითი და/ან ზეპირსიტყვიერი შეტყობინების სახით დამატებითი ღირებულების მოთხოვნის გარეშე.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3.2. უზრუნველყოს შესყიდვის საგნის მიღება.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 5 მარტის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისიწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენაბა წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომ-

დინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4.ხელშეკრულებიდან გასვლისას შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.5.რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყოს ამ ხელშეკრულებით ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობის თანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელიიქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

11.1.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

11.2 ამ ხელშეკრულების 11.1. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

11.3 გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

11.4.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 11.1, 11.2. და 11.3. პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14.დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15.დასკვნითი დებულებები

15.1.მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემო თქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ ს/კ243123455
მისამართი: ქ. თბილისი. პეკინის 28
ელ.ფოსტა ps.hosp@gmail.com
ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE02BG0000000267299600;
ტელ.: +995 599136864;

დირექტორი:
/სპარტაკ ბუკია/

მიმწოდებელი:
ფიზიკური პირი
აპოლონ ბოხუა პ/ნ 01411111151
მისამართი: თბილისი ჯავახეთის ქ. 5-ა, ბ-4
ელ. ფოსტა apolon1957@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკი,
ბანკის კოდი:LBRTGE22
ა/ა:GE82LB0288870040221705
ტელეფონის ნომერი 579 916 420, 579 778 260

ფიზიკური პირი:
/აპოლონ ბოხუა/

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დაბა სურამი **„ 22 „ნოემბერი, 2018 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“**დირექტორ **სპარტაკ ბუკია** ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების #205, 22/11/2018 მიმწოდებელთან ფიზიკურ პირთან „აპოლონ ბოხუა“.

დირექტორი:

სპარტაკ ბუკია _____